ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №1-2658

"28" დეკემბერი 2016 წ.

,,ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირის ბოლოს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.07.011.005), საზოგადოებრივი კვების ობიექტის (რესტორანი) სარეკონსტრუქციოდ, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ" ქ. თბილისის მერის 2010 წლის 14 დეკემბრის №4608 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2016 წლის 15 დეკემბრის №60 სხდომის ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირის ბოლოს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.07.011.005), საზოგადოებრივი კვების ობიექტის (რესტორანი) სარეკონსტრუქციოდ, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ" ქ. თბილისის მერის 2010 წლის 14 დეკემბრის №4608 განკარგულებაში და განკარგულების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,, ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირის ბოლოს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.07.011.013), საზოგადოებრივი კვების ობიექტის (რესტორანი) სარეკონსტრუქციოდ, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ";

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზირის ბოლოს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.07.011.013), საზოგადოებრივი კვების ობიექტის (რესტორანი) სარეკონსტრუქციოდ, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება და განაშენიანების კოეფიციენტი (კ1) განისაზღვროს: კ1=0,8.".

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს საბჭოს რეკომენდაციები.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

4. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200


N
W
E
S
სარეკრეაციო
ზონა 2
(რზ-2)
სარეკრეაციო
ზონა 2
(რზ-2)
885
11.5
11.1
საზოგადოებრივ-საქმიანი
ზონა 1 (სსზ-1)
885
13
15.4
7.6
6.4
94
5.2
11.9
ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი
2.2
5.2
6.2
1.4
სატრანსპორტო
ზონა 1
(ტზ-1)
სარეკრეაციო
ზონა 1
(რზ-1)
1:300